საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მამასახლისი

მამასახლისი, სახლის, გვარის ან თემის მეთაური. პირველყოფილი თემური წყობილების დროს მ. გვარის უხუცესი იყო. გვაროვნული წყობილების ელემენტები, მისი გადმონაშთები მამასახლისობის ინ-ტმა გვიანდ. ფეოდ. პერიოდშიც შეინარჩუნა. სოფლის მ. უმრავლეს შემთხვევაში გლეხთა წრეს ეკუთვნოდა. იგი იყო ადმ. ფუნქციების მქონე დაბალი რანგის მოხელე, რ-საც ევალებოდა სოფლისათვის ეცნობებინა ცენტრ. ორგანოების ბრძანება-განკარგულებანი, გაერჩია სისხლისა და სამოქალაქო სამართ. შედარებით მარტივი საქმეები, დახმარებოდა სათანადო მოხელეებს გადასახადების გაწერა-აკრეფაში და სხვ. გლეხები მ-ის სასარგებლოდ გადასახადს იხდიდნენ, თვით მ. კი გადასახადებისაგან თავისუფალი იყო. ვახტანგ VI-ის დასტურლამალის მიხედვით, სახასო მამულებში მ-ს მეფე ნიშნავდა. თავიანთი მ-ები ჰყავდათ აგრეთვე მსხვილ ფეოდალებს. ქალაქის მ-ს მოურავთან, მელიქსა და ნაცვალთან ერთად ბაზრის, ვაჭრობის საქმეები ექვემდებარებოდა; იგი ახორციელებდა ადმ. ფუნქციებს ქალაქის მოსახლეობის მიმართ, მონაწილეობდა სასამართლო საქმეების გარჩევაში და სხვ. თბილ. მ-ისა და მელიქის სახელოები XVIII ს-ში ერთი პირის ხელში გაერთიანდა.

მ. ერქვა აგრეთვე სამონასტრო ძმობის უფროსს, წინამძღვარს. სას. დაწესებულებათა მ-ებს, გარდა სარწმუნოებრივი საკითხებისა, ყოველგვარი ადმ. და სამეურნეო ხასიათის საქმეებიც ეხებოდა. რუსეთის მმართველობის პერიოდში რევოლუციამდელ საქართველოში მ., რუს. „სტაროსტის` კვალად, არჩევითი მოხელე იყო და სოფლად ასრულებდა ადმ.-პოლიც. მოვალეობებს.

მ. ეწოდება აგრეთვე არჩეულ ან დანიშნულ პირს, რ-იც ხელმძღვანელობდა რომელიმე მცირე კოლექტივის საქმეებს (მაგ., კლასის მ., ჯგუფის მ.).

ლიტ.: თბილისის ისტორია, ტ. 1, თბ., 1990; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., მამასახლისობის ინსტიტუტის შესახებ, „მაცნე. ისტ., არქეოლ, ეთნოგრ და ხელოვნ. ისტორიის სერია“, 1972, № 4; მ ი ს ი ვ ე , საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952; შ ა ნ ი ძ ე ა., მამასახლისი XI საუკუნის საქართველოში, „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, 1971, № 1; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6, თბ., 1982, ტ .7, თბ., 1984.

ი. სურგულაძე